საზღვრის კვეთით კმაყოფილების კვლევა

სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი

Institute of Social Studies and Analysis

Contents

მეთოდოლოგია 2

ძირითადი მიგნებები 3

მგზავრთა ზოგადი მონაცემები 5

გამოცდილება სასაზღვრო გამშვებ პუნქტებზე 13

გამშვებ პუნქტებზე მიღებული გამოცდილების შეფასება 17

მეთოდოლოგია

სასაზღვრო გამშვები პუნქტების კმაყოფილების კვლევა გულისხმობდა 3000 რესპონდენტის გამოკითხვას საქართველოში არსებულ სამ საერთაშორისო აეროპორტში თბილისსა, ბათუმსა და ქუთაისში) და სამ სახმელეთო გამშვებ პუნქტზე - სარფში, წითელ ხიდსა და სადახლოში.

თითოეული პუნქტის შემთხვევაში, ჯამში გამოკითხულ იქნა 500 რესპონდენტი. გარდა თითოეული გამშვები პუნქტის კვოტისა, გამოკითხვისას მოქმედებდა კიდევ ერთი კვოტა - საქართველოს მოქალაქეებისა და სხვა ქვეყნების მოქალაქეების თანაბარი რაოდენობით გამოკითხვა.

„სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის“ (ISSA) მკვლევრების მიერ გამოკითხვა განხორციელდა პირისპირი ინტერვიუს მეშვეობით. ISSA-ს ინტერვიუერებმა გამოიყენეს „მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან” (IOM) თანამშრომლობით შედგენილი ანკეტა, რომელიც ჩატვირთული იყო პლანშეტურ კომპიუტერებში. მონაცემების შეგროვება მოხდა ODK Collector-ით. მონაცემები მოგროვების შემდეგ დამუშავებულ და გასუფთავებულ იქნა და საბოლოო ჯამში, ISSA-ს სპეციალისტებმა ჩამოაყალიბეს SPSS მონაცემთა ბაზა.

ძირითადი მიგნებები

ზოგადი მონაცემები მგზავრებზე: კვლევის მიხედვით, შერჩეულ 6 სასაზღვრო გამშვებ პუნქტზე შემოსული მგზავრებიდან მცირედით მეტ წილს წარმოადგენენ მამაკაცები. ასევე, მგზავრთა ნახევარზე მეტი წარმოადგენს 25-იდან 45-წლამდე ასაკის პირებს. საერთო ჯამში, მგზავრთა საშუალო ასაკი 39 წელია. კვლევის ფარგლებში გამოკითხულ იქნა 52 სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქე, თუმცა უცხო ქვეყნის მოქალაქეთაგან 6/10 საქართველოსთან სახმელეთო საზღვრის მქონე ქვეყნიდანაა.

გამოცდილება სასაზღვრო გამშვებ პუნქტებზე: კვლევის შედეგების მიხედვით, სასაზღვრო გამშვებ პუნქტებზე უდიდეს ნაწილს არ უსვამენ ისეთ დამატებით შეკითხვებს, როგორიცაა „მარტო მგზავრობთ, თუ არა“, „რამდენ ხანს აპირებთ საქართველოში დარჩენას“ და „რა არის თქვენი მოგზაურობის მიზანი“. თუმცა, გამშვები პუნქტების ერთმანეთთან შედარებისას იკვეთება, რომ მცირედი (სტატისტიკურად სანდო) განსხვავება მაინც არსებობს თბილისის და ბათუმის აეროპორტებსა და სადახლოს გამშვებ პუნქტსა და დანარჩენ სამ გამშვებ პუნქტს შორის. დასახელებულ პუნქტებში მცირედით უფრო მეტი შანსია, რომ მესაზღვრემ უცხო ქვეყნის მოქალაქე მგზავრს მოცემული კითხვები დაუსვას. ყველაზე ნაკლები შანსი კი, რომ მსგავსი შეკითხვები მგზავრს დაესვას, სარფის გამშვებ პუნქტზეა.

კვლევის მიხედვით ირკვევა, რომ მგზავრები საერთო ჯამში, საშუალოდ 7 წუთზე ოდნავ მეტს ჰყოფენ გამშვებ პუნქტზე. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი განსხვავება საქართველოს და უცხო ქვეყნის მოქალაქეებს შორის არ არის - საქართველოს მოქალაქეებში ეს მაჩვენებელი 6.74-ია (მოდა - 5), ხოლო სხვა ქვეყნის მოქალაქეებში - 7.51 (მოდა - 5). მონაცემების მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ სარფში დამატებით კითხვებს მესაზღვრეები ყველაზე ნაკლებად სვამენ, საშუალოდ, ყველაზე დიდი დრო მგზავრებს სწორედ სარფის გამშვები პუნქტის გავლისათვის სჭირდებათ (საშუალო - 13.57, მოდა - 10), ხოლო ყველაზე ნაკლები - სადახლოს (საშუალო - 3.3, მოდა - 1), რომელზეც მგზავრები საშუალოდ 10 წუთით ნაკლებ დროს ჰყოფენ, ვიდრე სარფში.

გამშვებ პუნქტებზე მიღებული გამოცდილების შედარება: გამშვებ პუნქტზე დაყოფილი დროის თვალსაზრისით, 10 მგზავრიდან თითქმის 9 (88.7%) მიიჩნევს, რომ სასაზღვრო გამშვები პუნქტი ძალიან სწრაფად, ან სწრაფად გაიარა. მგზავრები მეტ-ნაკლებად დადებითად აფასებენ სასაზღვრო გამშვები პუნქტების სხვადასხვა კომპონენტსაც (ინფრასტრუქტურას, მესაზღვრეთა თავაზიანობას, გზამკვლევ ნიშნებსა და უსაფრთხოებას). საერთო ჯამში, დასახელებული კომპონენტები მგზავრებისგან მეტ-ნაკლებად დადებით შეფასებებს იღებენ (მინიმუმ 4.5 ქულა 5-ქულიან სკალაზე, სადაც 5 უმაღლესი შეფასებაა) და საერთო მონაცემებში კომპონენტების შეფასებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება. ყველაზე მაღალი კმაყოფილების დონით გამოირჩევიან სადახლოსა და წითელი ხიდის გამშვები პუნქტები, სხვა

ოთხთან შედარებით, ყველაზე ნაკლები კმაყოფილების დონით კი კოპიტნარის და სარფის გამშვები პუნქტები.

საბოლოო ჯამში, მგზავრთა კმაყოფილების დონე კვლევაში ჩართულ 6 სასაზღვრო გამშვებ პუნქტზე 4.47-ია (შესაძლო 5-იდან), რაც იდენტური მაჩვენებელია საქართველოს მოქალაქეებისა და უცხო ქვეყნის მოქალაქეების მონაცემებს შორის. კმაყოფილების ყველაზე მაღალი დონით გამოირჩევა წითელი ხიდი - 4.69 საშუალო ქულა, ხოლო ყველაზე დაბლით - სარფი - 4.19 საშუალო ქულა.

მგზავრთა ზოგადი მონაცემები

რაც შეეხება რესპონდენტთა ზოგად დემოგრაფიულ მახასიათებლებს, გამოკითხულთა 47.3% იყო მდედრობითი სქესის, ხოლო შესაბამისად, 52.7% - მამრობითი.

საბაჟო გამშვები პუნქტების მიხედვით რესპონდენტების სქესთან დაკავშირებული მონაცემები შემდეგნაირია:



როგორც ვხედავთ, მონაცემებში გამშვები პუნქტების მიხედვით, თითქმის ყველგან მამაკაცი მგზავრები აღემატებიან ქალ მგზავრებს. გამონაკლისია მხოლოდ თბილისის აეროპორტი, სადაც გამოკითხულთა 50.6% ქალი აღმოჩნდა.

ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით კი რესპონდენტები შემდეგნაირად ნაწილდებიან:



რესპონდენტთა ნახევარზე მეტის ასაკი მერყეობს 25-დან 45 წლამდე (55.2%), ხოლო ყველაზე მცირე ასაკობრივ ჯგუფს შეადგენენ 65+ ასაკის მქონე გამოკითხულები. რესპონდენტთა საშუალო ასაკი 39 წელს შეადგენს, ხოლო გამშვები პუნქტების მიხედვით კი საშუალო ასაკის მონაცემები შემდეგნაირია:



	სარფი	წითელი ხიდი	სადახლო	კოპიტნარი	ბათუმი	თბილისი
მოდა	25	40	28	27	45	42
საშუალო არით.	36.95	40.03	43.03	34.59	40.54	39.16

სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის მკვლევრებმა სასაზღვრო გამშვებ პუნქტებზე ჯამში 51 უცხო ქვეყნის მოქალაქე გამოკითხეს. აქედან 21 ქვეყნის მოქალაქე კვლევაში მხოლოდ ერთხელ ფიქსირდება , ხოლო 15 ქვეყნის მოქალაქეები გამოკითხულთა შორის ერთზე მეტი არიან, თუმცა არაუმეტეს ხუთისა.

უცხო ქვეყნის მოქალაქე რესპონდენტთა საერთო განაწილება ქვეყნების მიხედვით შემდეგნაირია:



მონაცემების მიხედვით, გამშვებ პუნქტებზე ყოველი მეხუთე უცხოელი ვიზიტორი რუსეთის მოქალაქეა. ქვეყნებს შორის მეორე ყველაზე მეტი წილის მქონეა აზერბაიჯანი (15.6%), ხოლო მესამე - სომხეთი (14.4%). საერთო ჯამში, საქართველოსთან სახმელეთო საზღვრის მქონე ქვეყნების მოქალაქეთა წილი უცხო ქვეყნის მოქალაქეთა შორის 64.4%-ია.

შეკითხვაზე, მარტო მგზავრობდნენ თუ არა, რესპონდენტების 38.3%-მა დადებითი პასუხი გასცა, ხოლო დანარჩენმა 61.7%-მა - უარყოფითი. ისინი, ვინც მარტო არ მგზავრობდნენ, თანამგზავრებში ასახელებდნენ:



როგორც ვხედავთ, საზღვრის გადამკვეთთაგან ყოველ მეორეს თან ახლდა ოჯახის წევრ(ებ)ი. ასევე, 10-იდან თითქმის 4 მგზავრობდა მეგობრებთან ერთად.



$\chi2(8)=20.811$ $p<0.05$

რაც შეეხება საქართველოს მოქალაქეებისა და უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჭრილს, საერთო ტენდენციასთან შედარებით აქ დიდი სხვაობა არ არის. საქართველოს მოქალაქეების 36.1% მგზავრობს მეგობრებთან ერთად, 51.8% - ოჯახთან, 10.4% - კოლეგებთან, ხოლო 1.7% სხვა პირებთან ერთად. უცხო ქვეყნის მოქალაქეებში კი პასუხები შემდეგნაირად ნაწილდება - 40% მეგობრები, 51.5% ოჯახი, 8.3% კოლეგები.

რაც შეეხება მონაცემებს გამშვები პუნქტების მიხედვით, აქაც მოცემულ კითხვაზე პასუხების ძირითადად მსგავსი რიგითობის დაცვითაა გადანაწილებული, თუმცა არის გამონაკლისი შემთხვევებიც:



$\chi2(40)=178.417$ $p<0.05$

როგორც მონაცემები აჩვენებს, კოპიტნარის აეროპორტში არა 10-იდან 4, არამედ 10-დან 6 მგზავრი იმყოფებოდა მეგობრების თანხლებით. ასევე, თბილისის აეროპორტი საერთო მონაცემებთან შედარებით თითქმის ორჯერ უფრო მეტ მგზავრს იღებს ისეთს, რომელსაც თან კოლეგები ახლავს, ბათუმის აეროპორტში კი სხვებთან შედარებით ყველაზე მეტი მგზავრია ოჯახთან ერთად (63.1%).



შეკითხვაზე, ამ ვიზიტის გარდა ყოფილხართ თუ არა თქვენი საცხოვრებელი ქვეყნის გარეთ ბოლო 6 თვის განმავლობაში, 46.3%-მა დადებითად უპასუხა, ხოლო 53.7%-მა - უარყოფითად. ამ მონაცემებში საქართველოს მოქალაქეებისა და სხვა ქვეყნის მოქალაქეების პასუხებს შორის უმნიშვნელო განსხვავებაა, რასაც ვერ ვიტყვით პასუხების განაწილებაზე გამშვები პუნქტების მიხედვით:



$\chi2(5)= 253.035$ $p<0.05$

როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაშიც სხვა პუნქტებისგან მკვეთრად განსხვავდება კოპიტნარის აეროპორტი, სადაც 82.8% აღნიშნავს, რომ 6 თვის განმავლობაში ეს ვიზიტი პირველია.

გამოცდილება სასაზღვრო გამშვებ პუნქტებზე

როგორც უცხო ქვეყნის მოქალაქეები აღნიშნავენ, შეკითხვა „რამდენ ხანს აპირებთ საქართველოში დარჩენას“ დაუსვეს 9.3%-ის შემთხვევაში[1].

გამშვები პუნქტების მიხედვით კი პასუხები შემდეგნაირად ნაწილდება:



$\chi2(10)=43.570$ $p<0.05$

[1]შეკითხვა მხოლოდ საქართველოს მოქალაქეების არმქონეებს ეხებოდათ, რადგან საქართველოს მოქალაქეებს მოცემული კითხვა სასაზღვრო გამშვებ პუნქტზე არ დაესმით.

მონაცემები აჩვენებს, რომ თბილისის, ბათუმისა და სადახლოს გამშვებ პუნქტებზე ეს შეკითხვა მგზავრებს უფრო ხშირად დაესვათ, ვიდრე სარფში, წითელ ხიდსა და კოპიტნარში.

მონაცემების მიხედვით, მოგზაურობის მიზნის შესახებ შეკითხვა უცხო ქვეყნის მოქალაქეთა 12.1%-ს დაესვა. პასუხები კი გამშვები პუნქტების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:



$\chi2(10)=$ **46.787** $p<0.05$

სხვებთან შედარებით, ყველაზე ხშირად შეკითხვა „რა არის თქვენი მოგზაურობის მიზანი“ დაესვათ მგზავრებს სადახლოს და ბათუმის გამშვებ პუნქტებზე (შესაბამისად, 17.2% და 16.4%), ხოლო ყველაზე იშვიათად, სარფში (4.4%).

შეკითხვა „მარტო მგზავრობთ თუ არა“ გამოკითხულთა 6.5%-ს დაესვა. ეს მონაცემები გამშვები პუნქტების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:



$\chi2(10)=$ **46.787** $p<0.05$

მესაზღვრეების მიერ მგზავრებისთვის დამატებითი კითხვების დასმის სამივე შემთხვევაში, ყველაზე ხშირად მოცემულ კითხვებს სვამენ სადახლოს გამშვებ პუნქტზე, ბათუმისა და თბილისის აეროპორტებში. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს განსხვავება არ არის მკვეთრი - სამივე კითხვის შესახებ მონაცემებში სხვაობები არ არის გამოკვეთილად დიდი დასახელებულ სამ გამშვებ პუნქტსა და დანარჩენ სამს შორის.

რესპონდენტებს დაესვათ შეკითხვა, თუ საშუალოდ რამდენი წუთი დაჰყვეს მათ სასაზღვრო გამშვებ პუნქტზე. მათი პასუხების მიხედვით, დაყოფილი წუთების საშუალო არითმეტიკული 7.12-ია. საქართველოს მოქალაქეებში ეს მაჩვენებელი 6.74-ია (მოდა - 5), ხოლო სხვა ქვეყნის მოქალაქეებში - 7.51 (მოდა - 5).

სასაზღვრო გამშვები პუნქტების მიხედვით პუნქტზე დაყოფილი დროების საშუალო არითმეტიკული შემდეგნაირად ნაწილდება:



მონაცემების მიხედვით, საშუალოდ, ყველაზე დიდი დრო სარფის გამშვები პუნქტის გავლას სჭირდება (საშუალო - 13.57, მოდა - 10), ხოლო ყველაზე ნაკლები - სადახლოს (საშუალო - 3.3, მოდა - 1).

გამშვებ პუნქტებზე მიღებული გამოცდილების შეფასება



რაც შეეხება მგზავრთა შეფასებას გამშვებ პუნქტზე დახარჯული დროის თვალსაზრისით, მათი 58.7% მიიჩნევს, რომ პუნქტი ძალიან სწრაფად გაიარა, 30%-ის შეფასებით კი - საკმაოდ სწრაფად. დახარჯულ დროს გონივრულ ვადად მიიჩნევს მგზავრთა 8.4%, ხოლო 2.1% აღნიშნავს, რომ იმაზე მეტი დრო დასჭირდა, ვიდრე ელოდა. მათი წილი კი, ვინც აღნიშნა, რომ ძალიან დიდი დრო დასჭირდა, ჯამში 0.8%-ია.

გამოკითხულ მგზავრებს ეთხოვათ შეეფასებინათ სასაზღვრო გამშვები პუნქტების სხვადასხვა კომპონენტი - ინფრასტრუქტურა, უსაფრთხოება, გზის გაგნების საშუალებები/ნიშნები და თანამშრომლების თავაზიანობა. თითოეული კომპონენტის მიხედვით საშუალო შეფასება 5-ქულიან სკალაზე, სადაც 5 უმაღლესი შეფასებაა, შემდეგნაირია:



ჩამოთვლილი კომპონენტებიდან საშუალოდ, ყველაზე მეტი კმაყოფილება დაიმსახურა უსაფრთხოების დონემ (საშუალო - 4.64), თუმცა სხვა კომპონენტებთან შედარებით, გამშვებ პუნქტებზე ყველაზე ნაკლები კმაყოფილება მგზავრებმა გამოხატეს ინფრასტრუქტურის მიმართ.

რაც შეეხება თითოეული კომპონენტის შეფასებას სასაზღვრო გამშვები პუნქტების მიხედვით, ეს მონაცემები შემდეგნაირად გამოიყურება:



ბათუმის აეროპორტი და წითელი სხვებთან შედარებით გამოკითხვაში გამოირჩა თანამშრომლების თავაზიანობით. მათი საშუალო მაჩვენებელი ანალოგიურია - 4.83. უსაფრთხოების თვალსაზრისით კი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაიმსახურეს სადახლომ (საშუალო 4.86) და წითელმა ხიდმა (4.84). ამ ორმა გამშვებმა პუნქტმა ასევე, უმაღლესი საშუალო შეფასება მიიღო ინფრასტრუქტურის კომპონენტსა (სადახლო - 4.81; წითელი ხიდი - 4.75) და გზის გაგნების საშუალებებში (სადახლო - 4.8; წითელი ხიდი - 4.74). რაც შეეხება ყველაზე დაბალი საშუალო შეფასებების მქონე გამშვებ პუნქტებს, ასეთები გამოკვეთილად არიან კოპიტნარის აეროპორტი და სარფი, რომლებშიც სხვებთან შედარებით ყველ;ა კომპონენტში დაბალი შეფასებები გაკეთდა.

მოქალაქეობის ჭრილში აღსანიშნავია, რომ საქართველოს მოქალაქეების შეფასებები სხვა ქვეყნის მოქალაქეების შეფასებებთან შედარებით ყველა კომპონენტში უფრო მაღალია:



უნდა აღინიშნოს, რომ მონაცემების მიხედვით, საქართველოს მოქალაქეებისა და უცხო ქვეყნის მოქალაქეებს შორის შეფასებებში ყველაზე დიდი განსხვავება გზის გაგნების საშუალებებშია. ამის გამომწვევი მიზეზი შესაძლებელია, იყოს ის, რომ საქართველოს მოქალაქეებს ქართულენოვანი ნიშნების აღქმის პრობლემა არ აქვთ, თუმცა უცხოენოვან მოქალაქეებს, რომლებიც არ ფლობენ ინგლისურ ენას (რომელზეც არის უცხოენოვანი ნიშნები), გზამკვლევების გამოყენების პრობლემა ექმნებათ.



რესპონდენტებს დაესვათ შეკითხვა იმის შესახებ, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იქნებოდა მათი აზრით საქართველოს სასაზღვრო გამშვებ პუნქტებზე ელექტრონული კარის არსებობა. ნახევარზე მეტის შეფასებით (52.4%) ელექტრონული კარი ძალიან მნიშვნელოვანი იქნებოდა, გარკვეულწილად მნიშვნელოვანი იქნებოდა 26.2%-ისთვის, ხოლო მეათედისთვის (10.8%) არ იქნებოდა მნიშვნელოვანი. რესპონდენტთა 10.6%-ს გაუჭირდა კითხვაზე პასუხის გაცემა.

ეს შედეგები გამშვები პუნქტების ჭრილში შემდეგნაირია:



$\chi2(15)=$ **196.885** $p<0.05$

რაც შეეხება საქართველოს მოქალაქეებისა და სხვა ქვეყნების მოქალაქეების ჭრილს, აქ მონაცემები შემდეგნაირად ნაწილდება:



$\chi2(3)=$ **12.628** $p<0.05$

საერთო მონაცემების მიხედვით, სასაზღვრო გამშვებ პუნქტზე ბარგის დამატებითი სკანირება ჩაუტარდა მგზავრთა 10.4%-ს, ბარგის გახსნა მოსთხოვეს 9.1%-ს, ხოლო 0.7%-ს დაეკისრათ ჯარიმის გადახდა დარღვევის გამო. ეს მონაცემები გამშვები პუნქტების მიხედვით საკმაოდ განსხვავებულია:



$\chi2(5)=$ **152.321** $p<0.05$

როგორც ვხედავთ, ბათუმსა და სარფში სხვა პუნქტებთან შედარებით უფრო ხშირად ხდება ბარგის სკანირება.



$\chi2(5)=$ **322.913** $p<0.05$

თუ ბათუმის აეროპორტში თითქმის ყოველი მეოთხე მგზავრის ბარგის სკანირება მოხდა (23%), წითელ ხიდზე ასეთი მგზავრების წილი მხოლოდ 1.8%-ია. ასევე, სადახლოსა და სარფში მინიმუმ ყოველ მეხუთე ადამიანს მოსთხოვეს, რომ გაეხსნათ ბარგი, როდესაც წითელ ხიდსა და კოპიტნარში ასეთი მოთხოვნით 100-იდან ერთ მგზავრს მიმართეს. რაც შეეხება ჯარიმის დაწესებას, ყველა გამშვებ პუნქტზე დარღვევების მონაცემები ძალიან მცირეა დამატებით (სხვადასხვა ჭრილში) მსჯელობისათვის. რაც შეეხება განსხვავებას საქართველოს მოქალაქეებსა და უცხო ქვეყნის მოქალაქეებს შორის, ამ კითხვების მონაცემებში ეს განსხვავება ძალიან მცირეა.

შეკითხვაზე, „უკანასკნელი 2 წლის მანძილზე საქართველოს სასაზღვრო გამშვებ პუნქტზე გქონიათ თუ არა შემთხვევა, როდესაც დამატებითი ინფორმაცია დაგჭირდათ“, რესპონდენტთა 85.2% აღნიშნავს, რომ არ დასჭირვებია. ეს მონაცემები თითქმის არ განსხვავდება მოქალაქეობის ჭრილში.

რესპონდენტთა იმ 12.6%-ს, რომლებმაც აღნიშნეს, რომ დამატებითი ინფორმაცია დასჭირდათ, დაესვათ შეკითხვა იმის თაობაზე, თუ საიდან მიიღეს იგი. როგორც მონაცემებიდან ირკვევა, ასეთ შემთხვევაში ინფორმაციის მიღების ყველაზე ხშირი პრაქტიკა საინფორმაციო დახლისათვის მიმართვაა (44%). ასევე, მგზავრები ამ დროს საკმაოდ ხშირად მიმართავენ სხვა ადამიანებს (33.7%), ხოლო მესამე ყველაზე გავრცელებული პრაქტიკა ნიშნების მიხედვით ორიენტირებაა (18.9%):



გამოკითხულმა მგზავრებმა 5-ქულიან სკალაზე, სადაც 5 უმაღლესი შეფასებაა, საშუალოდ 4.64 ქულით (მოდა - 5) შეაფასეს ფაქტი, რომ საქართველოს სასაზღვრო გამშვებ პუნქტებზე საერთოდ არ არის/მინიმალური რაოდენობის ფორმებია შესავსები. ეს შეფასებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდებოდა რელევანტურ ჭრილებში.

საერთო ჯამში კი, 5-ქულიან სკალაზე მგზავრების საშუალო კმაყოფილების დონე საქართველოს სასაზღვრო გამშვებ პუნქტებზე მიღებული გამოცდილებით 4.47-ია (მოდა - 5). ეს მაჩვენებელი იდენტურია საქართველოს მოქალაქეებისა და სხვა ქვეყნების მოქალაქეების მონაცემებს შორის, თუმცა მეტ-ნაკლებად განსხვავდება გამშვები პუნქტების მიხედვით:



მონაცემების მიხედვით, ყველაზე მაღალი კმაყოფილების დონით გამოირჩევა წითელი ხიდი (საშუალო - 4.69), ხოლო ყველაზე დაბლით - სარფი (საშუალო - 4.19). უნდა აღინიშნოს, რომ თუ თბილისისა და ბათუმის აეროპორტებმა თითქმის მსგავსი საშუალო ქულა დაიმსახურეს, კოპიტნარის აეროპორტის შეფასებები მათთან შედარებით დაბალია.